არც ერთი გოლი

ვილნიუსი. “ჟალგირისის” სტადიონი. 4 აპრილი.

“ჟალგირისი (ვილნიუსი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

“ჟალგირისი”: იურკუსი, მაჟეიკისი, სტანკიავიჩუსი (ბარანაუსკასი), გრაჟულისი, რსიუკასი, კასპარავიჩუსი, დანისიავიჩუსი, მაცკიავიჩუსი, იაკუბაუსკასი, მალკიავიჩუსი, იანონისი.

“დინამო”: მჭედლიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, ჯოხაძე, სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული (გურული), კაკილაშვილი (კოპალეიშვილი), შენგელია.

მსაჯი: ა. ხორლინი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:3. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გურულმა (2) და ჟორჟიკაშვილმა.

მასპინძლებმა დასაწყისშივე სცადეს ინიციატივის აღება და რამდენიმე შეტევაც წამოიწყეს, მაგრამ დინამოელებმა საიმედოდ გაამაგრეს დაცვა და შემდგომში თამაში თანაბარი უპირატესობით, უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა.

შესვენების შემდეგ სახიფათო მომენტები შექმნეს მაცკიავიჩუსმა, გრაჟულისმა, თამაშში ჩაება თბილისელთა მეკარე მჭედლიძე.

შუა ტაიმში დინამოელებმა უპირატესობას მიაღწიეს ცენტრალურ ზონაში და კარგა ხნით დამკვიდრდნენ “ჟალგირისის” ნახევარზე. მასპინძლები გაძლიერებული ძალებით იცავდნენ თავს, სახიფათო მომენტები შექმნეს ჯოხაძემ, შენგელიამ, სტუმრები ახლოს იყვნენ წარმატებასთან, მაგრამ ვილნიუსელებმა შეძლეს კარის უხიფათობის შენარჩუნება და საბოლოოდ მატჩი ისე დამთავრდა, რომ ბურთი არც ერთ კარში არ გასულა.

“ლელო”, 6 აპრილი, 1983 წ.